სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 312
(ოქმი №301)

თბილისი 2015 წლის 7 სექტემბერი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

1. "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის 07.09.2015წ. №3093/03 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, სამეურვეო საბჭოს 2008 წლის 28 ივლისის №108 (ოქმი №68) გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულებაში (შემდგომში - "დებულება") შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-3 პუნქტის 3.1. ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3.1. მაუწყებლის სტრუქტურაა:
- სამეურვეო საბჭო და მისი აპარატი;
- გენერალური დირექტორი;
- დაგეგმვის და განვითარების საბჭო;
- გენერალური დირექტორის მოადგილეები:
  - გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე;
  - გენერალური დირექტორის მოადგილე ტელემაუწყებლობის დარგში;
  - გენერალური დირექტორის მოადგილე ტექნიკურ და მომსახურეობის დარგში;
  - გენერალური დირექტორის მოადგილე რესურსების დარგში;
  - გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების დარგში;
  - გენერალური დირექტორის მოადგილე რადიომაუწყებლობის დარგში.
- პროგრამების სამსახურის უფროსი;
- პირველი არხის გენერალური პროდიუსერი;
- მეორე არხის გენერალური პროდიუსერი;
- მესამე არხის გენერალური პროდიუსერი;
- მთავარი რეჟისორი;
- საინფორმაციო სამსახურის უფროსი;
- ტექნიკური სამსახური; შენობა-ნაგებობები, ავტომეურნეობა;
- ადამიანური რესურსების სამსახური;
- მაუწყებლის პიარის, ადმინისტრაციის, მარკეტინგის და რეკლამის სამსახურები;
- საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახური;
- იურიდიული სამსახური;
- კანცელარია;
- შესყიდვების სამსახური;
- სამეურნეო სამსახური;
- ფინანსური ანალიზისა და ბიუჯეტირების სამსახური;
- ფინანსური აღრიცხვის სამსახური;
- რადიო ერთი, რადიო ორი.
- გაერთიანებული არქივის სამსახური;
- შიდა აუდიტის სამსახური;
- მონიტორინგის სამსახური."

ბ) ცვლილება შევიდეს დებულების დანართში და დამტკიცდეს თანდართული სახით.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაშია 2015 წლის 7 სექტემბრიდან.

დანართი: სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სტრუქტურის გრაფიკული აღწერილობა.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

ქეთევან მსხილაძე

მარინა მუსხელიშვილი

ნათელა სახოკია

ლელა გაფრინდაშვილი

ალექსანდრე ვახტანგოვი

დამტკიცებულია სსიპ ''საზოგადოებრივი მაუწყებლის '' სამეურვეო საბჭოს მიერ გადაწყვეტილება №312 ოქმი №301.